დანართი 2

სტუდენტის ხელშეკრულება №

ქ. ახალციხე

-------- 20-- წ.

ერთის მხრივ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი), რექტორის, --- სახით და მეორეს მხრივ ----საბაკალავრო პროგრამაზე რეგისტრირებული, სტუდენტი მცხოვრები (პირადი ნომერი) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

1.1. უნივერსიტეტის უფლებები:

უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებები გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან, უნივერსიტეტის წესდებიდან და სხვა სამართლებრივი აქტებიდან.

1.2 უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) შექმნას საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების, პროფესიული შრომის უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სტუდენტის მაღალ აკადემიურ დონეზე მომზადებისათვის საჭირო აუცილებელი პირობები.

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის სრულად გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს მიანიჭოს შესაბამისი აკადემიური ხარისხი და გასცეს სათანადო დიპლომი.

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს სასწავლო დროს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

დ) შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის საჭირო ყველა პირობა.

ე) უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულება.

1.3 სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;

გ) ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;

ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო დისციპლინების, გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;

ვ) მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;

ზ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის/სტუდენტთა მომსახურების შეფასება;

თ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე უნივერსიტეტისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მართვის ორგანოებში უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად;

ი) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

კ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო

სახელმწიფო დაფინანსების გადატანის წესს განსაზღვრავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი;

მ) საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად სახელმწიფოსგან, უნივერსიტეტისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

ნ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;

ო) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

პ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

1.4. სტუდენტი ვალდებულია:

ა) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა;

ბ) დაიცვას უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტის ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

გ) დაიცვას და შეასრულოს სტუდენტის ხელშეკრულების პირობები;

დ) დაიცვას უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით დადგენილი ვადები;

ე) გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია;

ვ) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;

ზ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას;

თ) შეასრულოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ვალდებულებები.

1.5 სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) პლაგიატი - ნაშრომში სხვისი აზრისა თუ ნაშრომის ციტირება ავტორის მითითების გარეშე;

ბ) თამბაქოს მოწევა, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;

გ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;

დ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით;

ე) შინაგანაწესით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

1.6 დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

ა) წერილობითი ფორმით მიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს უნივერსიტეტის შესაბამის ორგანოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლიური წარმოები საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

1.7. სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

II. სხვა პირობები:

2.1 -- პროგრამის წლიური ღირებულება შეადგენს -- ლარს.

2.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;

დ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

ე) ფინანსური დავალიანება;

ვ) აკადემიური შვებულება;

ზ) აკადემიური (პროგრამის და საგნების არ არჩევა) რეგისტრაციის გაუვლელობა;

2.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი;

2.4. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

2.5. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეჩერება სტუდენტს არ ათავისუფლებს სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან.

2.6 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ვადით სტატუსის შეჩერება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;

გ) პირადი განცხადება;

დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;

ე) უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით, უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული, სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ვ) გარდაცვალება;

ზ) კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევა.

2.7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს მობილობის უფლებით.

2.8. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.9. მოცემული წლისათვის გათვალისწინებული კრედიტის შეუსრულებლობის შემთხვევაში სტუდენტს ცალკეული დისციპლინის ან მთელი კურსის გავლა უწევს თვითდაფინანსების გზით უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად.

2.10. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში და ძალაში შედის ორივე მხარის ხელმოწერისთანავე. ხელშეკრულების პირობების შეცვლა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობაში (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები) და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებში შესული ცვილებებიდან გამომდინარე ან/და მხარეთა შეთანხმებით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

2.11. სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში ჩერდება მხარეთა უფლება–მოვალეობები, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებით არის განსაზღვრული.

2.12. ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისთანავე.

2.13. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში არსებული წესების შესაბამისად.

2.14. მხარეთა შორის დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში არსებული წესების შესაბამისად. მხარეებს უფლება აქვთ საკუთარი კანონიერი ინტერესების დასაცავად მიმართონ სასამართლოს.

2.15. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2(ორ) ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

რექტორი

ბ.ა

სტუდენტი

მე, _____ სახელი/გვარი (პ/N) ვადასტურებ, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ხელშეკრულების დადებამდე გავეცანი აღნიშნული უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტის ეთიკის კოდექს, ასევე უნივერსიტეტის შინაგანაწესს და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს.

სახელი გვარი

თარიღი

დანართი 3

სტუდენტის (მაგისტრანტის) ხელშეკრულება №

ქ. ახალციხე

------ 20 წ

ერთის მხრივ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი), რექტორის, --- სახით და მეორეს მხრივ -- სამაგისტრო პროგრამაზე რეგისტრირებული, სტუდენტი--, მცხოვრები -- (პირადი ნომერი --) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

1.1. უნივერსიტეტის უფლებები:

უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებები გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან, უნივერსიტეტის წესდებიდან და სხვა სამართლებრივი აქტებიდან.

1.2 უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) შექმნას საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების, პროფესიული შრომის უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სტუდენტის მაღალ აკადემიურ დონეზე მომზადებისათვის საჭირო აუცილებელი პირობები.

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის სრულად გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს მიანიჭოს შესაბამისი აკადემიური ხარისხი და გასცეს სათანადო დიპლომი.

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს სასწავლო დროს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

დ) შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის საჭირო ყველა პირობა.

ე) უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულება.

1.3 სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;

გ) ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;

ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო დისციპლინების, გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;

ვ) მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;

ზ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის/სტუდენტთა მომსახურების შეფასება;

თ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე უნივერსიტეტისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მართვის ორგანოებში უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად;

ი) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

კ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ლ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით გადავიდეს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე; საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებისათვის, მათ შორის,

პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებისათვის, გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის დაფინანსების წლიური მოცულობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გადაიტანოს მაგისტრატურის სხვა აკრედიტებულ საგანმანალებლო პროგრამაზე გადასვლისას თუ სწავლას გააგრძელებს იმავე საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე ან პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით გაერთიანებულია ერთიან სამაგისტრო საგამოცდო ქსელში;

მ) საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად სახელმწიფოსგან, უნივერსიტეტისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

ნ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;

ო) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

პ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

1.4. სტუდენტი ვალდებულია:

ა) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა;

ბ) დაიცვას უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტის ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

გ) დაიცვას და შეასრულოს სტუდენტის ხელშეკრულების პირობები;

დ) დაიცვას უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით დადგენილი ვადები;

ე) გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია;

ვ) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;

ზ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას;

თ) შეასრულოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ვალდებულებები.

1.5 სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) პლაგიატი - ნაშრომში სხვისი აზრისა თუ ნაშრომის ციტირება ავტორის მითითების გარეშე;

ბ) თამბაქოს მოწევა, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;

გ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;

დ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით;

ე) შინაგანაწესით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

1.6 დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

ა) წერილობითი ფორმით მიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს უნივერსიტეტის შესაბამის ორგანოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლებაში;

ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლიური წარმოები საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

1.7. სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

II. სხვა პირობები:

2.1 პროგრამის წლიური ღირებულება შეადგენს ლარს.

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;

დ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

ე) ფინანსური დავალიანება;

ვ) აკადემიური შვებულება;

ზ) აკადემიური (პროგრამის და საგნების არ არჩევა) რეგისტრაციის გაუვლელობა;

2.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი;

2.4. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

2.5. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეჩერება სტუდენტს არ ათავისუფლების სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან.

2.6 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ვადით სტატუსის შეჩერება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;

გ) პირადი განცხადება;

დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;

ე) უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით, უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული, სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ვ) გარდაცვალება;

ზ) კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევა.

2.7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს მობილობის უფლებით.

2.8. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.9. მოცემული წლისათვის გათვალისწინებული კრედიტის შეუსრულებლობის შემთხვევაში სტუდენტს ცალკეული დისციპლინის ან მთელი კურსის გავლა უწევს თვითდაფინანსების გზით უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად.

2.10. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში და ძალაში შედის ორივე მხარის ხელმოწერისთანავე. ხელშეკრულების პირობების შეცვლა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობაში (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები) და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებში შესული ცვილებებიდან გამომდინარე ან/და მხარეთა შეთანხმებით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

2.11. სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში ჩერდება მხარეთა უფლება–მოვალეობები, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებით არის განსაზღვრული.

2.12. ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისთანავე.

2.13. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში არსებული წესების შესაბამისად.

2.14. მხარეთა შორის დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში არსებული წესების შესაბამისად. მხარეებს უფლება აქვთ საკუთარი კანონიერი ინტერესების დასაცავად მიმართონ სასამართლოს.

2.15. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2(ორ) ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

რექტორი

გ.ა

სტუდენტი

მე, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი (მაგისტრანტი) _ (პ/N _ _ _ _ _ _ _ _ _ _) ვადასტურებ, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფ უნივერსიტეტთან ხელშეკრულების დადებამდე გავეცანი აღნიშნული უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტის ეთიკის კოდექს, ასევე უნივერსიტეტის შინაგანაწესს და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს.

სტუდენტი:

თარიღი:

დანართი 4

დოქტორანტის ხელშეკრულება №

ქ. ახალციხე 00/00/20 --წ

ერთის მხრივ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი), წარმოდგენილი რექტორის, --- სამეცნიერო ხელმძღვანელის ----- სახით და მეორეს მხრივ პროგრამაზე ჩარიცხული, დოქტორანტი ----მცხოვრები (პირადი ნომერი) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

1.1. უნივერსიტეტის უფლებები:

უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებები გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან, უნივერსიტეტის წესდებიდან და სხვა სამართლებრივი აქტებიდან.

1.2 უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) შექმნას საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების, პროფესიული შრომის უნარ-ჩვევების გამომუშავების, დოქტორანტის მაღალ აკადემიურ და სამეცნიერო დონეზე მომზადებისათვის საჭირო აუცილებელი პირობები;

ბ) უზრუნველყოს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელით;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის სრულად გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს მიანიჭოს შესაბამისი აკადემიური ხარისხი და გასცეს სათანადო დიპლომი;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს სასწავლო დროს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;

ე) შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის საჭირო ყველა პირობა;

ვ) უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულება.

1.3 დოქტორანტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) აირჩიოს სამეცნიერო ხელმძღვანელი;

გ) დასაბუთებული განცხადებით მოითხოვოს დისერტაციის თემისა და/ან ხელმძღვანელის შეცვლა;

დ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;

ე) ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

ვ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;

ზ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელების თაობაზე;

თ) მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;

ი) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის/სტუდენტთა მომსახურების შეფასება;

კ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე უნივერსიტეტისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მართვის ორგანოებში უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად;

ლ) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

მ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ნ) საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ო) საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად სახელმწიფოსგან, უნივერსიტეტისგან ან სხვა წყაროდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

პ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

ჟ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

1.4. დოქტორანტი ვალდებულია:

ა) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით შეასრულოს პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები;

ბ) დაიცვას უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტის ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

გ) დაიცვას და შეასრულოს ხელშეკრულების პირობები;

დ) დაიცვას უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით დადგენილი ვადები;

ე) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;

ვ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას;

ზ) შეასრულოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ვალდებულებები.

1.5 დოქტორანტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) პლაგიატი - ნაშრომში სხვისი აზრისა თუ ნაშრომის ციტირება ავტორის მითითების გარეშე;

ბ) თამბაქოს მოწევა, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;

გ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;

დ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით;

ე) შინაგანაწესით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

1.6 დისციპლინური წარმოების განხორციელებისას დოქტორანტს უფლება აქვს:

ა) წერილობითი ფორმით მიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს უნივერსიტეტის შესაბამის ორგანოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლებაში;

ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლიური წარმოები საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

1.7. დოქტორანტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

II. სხვა პირობები:

2.1 ფაკულტეტზე დოქტორანტის სწავლების ყოველი წლის საფასური განისაზღვრება ლარის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს სემესტრული რეგისტრაციის ვადებში, რომელსაც ადგენს უნივერსიტეტის აკადემიური საჭო.

2.2. დოქტორანტისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

დ) ფინანსური დავალიანება;

ე) აკადემიური შვებულება;

2.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი;

მე, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი _____ _____ (პ/N _____) ვადასტურებ, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფ უნივერსიტეტთან ხელშეკრულების დადებამდე გავეცანი აღნიშნული უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტის ეთიკის კოდექს, ასევე უნივერსიტეტის შინაგანაწესს და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს.

დოქტორანტი:

დანართი 5

პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულება №

ქ. ახალციხე 00/00/20-- წ.

ერთის მხრივ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი), რექტორის -- სახით და მეორეს მხრივ, -- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული, პროფესიული სტუდენტი --------, მცხოვრები --- (პირადი ნომერი -----), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

1.1. უნივერსიტეტის უფლებები:

უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებები გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან, უნივერსიტეტის წესდებიდან და სხვა სამართლებრივი აქტებიდან.

1.2 უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) შექმნას საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების, პროფესიული შრომის უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და პროფესიული სტუდენტის მაღალ აკადემიურ დონეზე მომზადებისათვის საჭირო აუცილებელი პირობები.

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის სრულად გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს მიანიჭოს შესაბამისი აკადემიური ხარისხი და გასცეს სათანადო დიპლომი.

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს სასწავლო დროს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

დ) შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის საჭირო ყველა პირობა.

გ) უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულება.

1.3 პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;

ბ) ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;

დ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, მოდულების, გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;

ე) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის/პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების შეფასება.

ვ) საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით;

თ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი

კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;

ი) სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

კ) პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი უნდა იყოს. იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უნივერსიტეტის წესდებით და შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით დადგენილი წესით;

ლ) ისარგებლოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებებით.

1.4. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაიცვას უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტის ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

ბ) დაიცვას და შეასრულოს პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების პირობები;

გ) დაიცვას უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით დადგენილი ვადები;

დ) გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია;

ე) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;

ვ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას;

ზ) შეასრულოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ვალდებულებები.

1.5 პროფესიული სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) თამბაქოს სისტემატური მოწევა, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა, რაც დადასტურდება უფლებამოსილი პირის მიერ შექმნილი დოკუმენტით;

ბ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;

გ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით;

II. სხვა პირობები:

2.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსისის შეჩერების საფუძველია:

ა) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა;

ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;

გ) პირადი განცხადება.

2.2 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა;

ბ) პროგრამის ნებაყოფლობით შეწყვეტის შესახებ პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;

დ) უნივერსიტეტის პერსონალის ან/და სტუდენტის ეთიკის კოდექსით და უნივერსიტეტის შინაგანაწესით და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული

სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
ე) გარდაცვალება.
2.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში პროფესიული სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან;
2.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით.
2.5. კრედიტის შეუსრულებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ცალკეული მოდულის გავლა უწევს თვითდაფინანსების გზით სახელმწიფოს მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.
2.6. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში და ძალაში შედის ორივე მხარის ხელმოწერისთანავე. ხელშეკრულების პირობების შეცვლა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობაში (საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები) და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე ან/და მხარეთა შეთანხმებით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.
2.7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში ჩერდება მხარეთა უფლება–მოვალეობები, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებით არის განსაზღვრული.
2.8. ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისთანავე.
2.9. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში არსებული წესების შესაბამისად.
2.10. მხარეთა შორის დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში არსებული წესების შესაბამისად. მხარეებს უფლება აქვთ საკუთარი კანონიერი ინტერესების დასაცავად მიმართონ სასამართლოს.
2.11. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2(ორ) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

რექტორი:

ბ.ა

პროფესიული სტუდენტი:

ვეთანხმები ხელშეკრულების პირობებს ---------- მშობელი: (არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში)
------- პ/N

მე, პროფესიული სტუდენტი სახელი/გვარი (პ/N) ვადასტურებ, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ხელშეკრულების დადებამდე გავეცანი აღნიშნული უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტის ეთიკის კოდექს, უნივერსიტეტის შინაგანაწესს და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს.

სახელი გვარი

თარიღი

დანართი 6

მსმენელის ხელშეკრულება №

ქ. ახალციხე 00/00/20-- წ.

ერთის მხრივ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი), რექტორის ---- სახით და მეორეს მხრივ, მოქალაქე (შემდგომში „მსმენელი“) --------, მცხოვრები --- (პირადი ნომერი ----,), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მსმენელის ჩარიცხვას ------- და შესაბამისი პროგრამის გავლას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

II. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

2.1. უნივერსიტეტის უფლებები:

უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებები გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან, უნივერსიტეტის წესდებიდან და სხვა სამართლებრივი აქტებიდან.

2.2 უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) შექმნას სასწავლო კურსის ათვისებისათვის საჭირო აუცილებელი პირობები.

ბ) სასწავლო კურსის დასრულებისა და გამოცდის ჩაბარების შემდგომ მსმენელს გადასცეს შესაბამისი სერთიფიკატი.

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს სასწავლო დროს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

დ) უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესარულება.

2.3 მსმენელს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;

დ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო კურსის, გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;

ე) სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

ვ) ისარგებლოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებებით.

2.4. მსმენელი ვალდებულია:

ა) დაიცვას უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტის ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

ბ) დაიცვას და შეასრულოს მსმენელის ხელშეკრულების პირობები;

გ) დაიცვას უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით დადგენილი ვადები;

დ) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;

ე) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას;

ვ) შეასრულოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ვალდებულებები.

2.5. მსმენელისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) თამბაქოს სისტემატური მოწევა, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა, რაც დადასტურდება უფლებამოსილი პირის მიერ შექმნილი დოკუმენტით;
ბ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;
გ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით;

III. სხვა პირობები:

3.1. მსმენელის სწავლის საფასური შეადგენს -------- ლარს.
3.2. მსმენელი ვალდებულია სწავლის საფასური გადაიხდოს სასწავლო კურსის დასრულებამდე.
3.3. სწავლის საფასურის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში მსმენელს ერთი წლის განმავლობაში შეუჩერდება მსმენელის სტატუსი.
3.4 მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტატუსის შეჩერება;
ბ) პროგრამის ნებაყოფლობით შეწყვეტის შესახებ მსმენელის პირადი განცხადება;

გ) სასწავლო კურსის დასრულება;

დ) უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით და უნივერსიტეტის შინაგანაწესით და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა;

ე) გარდაცვალება.

3.5. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში და ძალაში შედის ორივე მხარის ხელმოწერისთანავე. ხელშეკრულების პირობების შეცვლა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობაში და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე ან/და მხარეთა შეთანხმებით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.
3.6. მსმენელის სტატუსის შეჩერების პერიოდში ჩერდება მხარეთა უფლება–მოვალეობები, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებით არის განსაზღვრული.
3.7. ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას მსმენელის სტატუსის შეწყვეტისთანავე.
3.8. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში არსებული წესების შესაბამისად.
3.9. მხარეთა შორის დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში არსებული წესების შესაბამისად. მხარეებს უფლება აქვთ საკუთარი კანონიერი ინტერესების დასაცავად მიმართონ სასამართლოს.
3.10. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2(ორ) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

რექტორი:
ბ.ა

მსმენელი:

მე, სახელი/გვარი (პ/N) ვადასტურებ, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ხელშეკრულების დადებამდე გავეცანი აღნიშნული უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტის ეთიკის კოდექს, უნივერსიტეტის შინაგანაწესს და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს.

სახელი გვარი

თარიღი

დანართი 7

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ახალციხე

00.00.2000 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ.ახალციხე, რუსთაველის N113), წარმოდგენილი მისი რექტორის --- სახით (შემდგომში დამსაქმებელი) და მოქალაქე ------ (შემდგომში დასაქმებული) დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის ანაზღაურების სანაცვლოდ სამუშაოს შესრულების შესახებ.
1.2. მოქმედი კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში დასაქმებული შრომით საქმიანობას ახორციელებს ქ. ახალციხეში სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ------ თანამდებობაზე.
1.3. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს -- წლის ვადით.

მუხლი 2. დამსაქმებლის უფლებები და მოვალეობები

2.1. დამსაქმებელს უფლება აქვს:
ა) დაადგინოს შრომის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
ბ) სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად მიავლინოს დასაქმებული ძირითადი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ;
გ) განახორციელოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილება.

2.2. დამსაქმებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს დასაქმებული შრომის ადეკვატური პირობებით;
ბ) უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურება ხელშეკრულების შესაბამისად;
გ) აუნაზღაუროს დასაქმებულს ზეგანაკვეთური სამუშაო ხელშეკრულების შესაბამისად;
დ) განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 3. დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები

3.1. დასაქმებულს უფლება აქვს:
ა) მოითხოვოს სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი პირობების შექმნა;
ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით მოითხოვოს და მიიღოს შრომის ანაზღაურება;
გ) ისარგებლოს ერთსაათიანი შესვენებით სამუშაო დღის განმავლობაში;
დ) ისარგებლოს საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებით;
ე) ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით წელიწადში 24 სამუშაო დღით და ანაზღაურების გარეშე შვებულებით წელიწადში 15 კალენდარული დღით;
ვ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დასაქმებულისათვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

3.2 დასაქმებული ვალდებულია:
